gwp
მეტი ვიდრე უბრალოდ წყალი
MORE THAN JUST WATER

№ 19/0/09 D 5 0315

შპს "დავით გაგუას კლინიკა"-ს,
მიხეილ ჭიაურელის ქუჩა N6ა,
01-13-02-009/035

შპს-მ "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" განიხილა თქვენი განცხადება, დათარიღებული 26.02.15 წ. დარეგისტრირებული №3472/04, 26.02.15 წ., სადაც ითხოვთ ზემოაღნიშნულ ნაკვეთზე საპროექტო შენობის აშენების ნებართვას.


გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე გაედინება 300 მმ დიამეტრის საკანალიზაციო კოლექტორი თანდართული სქემატური ნახაზის შესაბამისად (იხ. დანართი). თანახმად სამშენებლო ნორმებისა და წესებისა სანიტარულ ზოლში აუცილებლობას წარმოადგენს ყოველგვარი შენობა-ნაგებობების დაშორება წყალარინების თვითდენითი ქსელებიდან არანაკლებ 3,0 მეტრით ორივე მხრიდან. ამასთანავე გაცნობებთ, რომ ქსელებზე შესაძლო დაზიანების შემთხვევაში დღე-ღამის ნებისმიერ დროს კომპანიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებს უნდა მიეცეს საშუალება ტერიტორიაზე შესვლისა და სპეცტექნიკის გამოყენებით საჭირო სამუშაოების ჩატარებისათვის.

დანართი: 1 (ერთი) ფურცელი

პატივისცემით,

კონსტანტინე ღამბაშიძე

ახალი მიერთებების ჯგუფის უფროსი სპეციალისტი/წამყვანი


ვ. ჭიაურელის ქ.
ვ. ჭიაურელის ქ.
ვ. ჭიაურელის ქ.
d=300 22
44 77562 41 77

KazTransGas
TBILISI

შ.პ.ს „ყაზტრანსგაზ-თბილისი"
ООО "КАЗТРАНСГАЗ-ТБИЛИСИ"

№01-05-04/488 "18" 03 2015 წ/г

შპს ,,დავით გაგუას კლინიკის" ტექნიკური
სამსახურის ხელმძღვანელს ბ-ნ დემურ ტყეშელაშვილს
მისამართი ქ. თბილისი, ლუბლიანას ქუჩა N2/6

ბატონო დემურ,

2015 წლის 11 მარტის N1084 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ მიხეილ ჭიაურელის ქუჩა N6ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი N01.13.02.009.035) თქვენს მიერ წარმოებულ მშენებლობასთან დაკავშირებით შპს ,,ყაზტრანსგაზ-თბილისი"-ს მიერ მომზადდა გაზსადენების გადალაგების პროექტი. შესაბამისად, მშენებლობის გაგრძელება შესაძლებელია პროექტის მიხედვით გაზსადენების გადალაგების განხორციელების შემდგომ.

პატივისცემით,

შპს ,,ყაზტრანსგაზ-თბილისი"-ს
სპეციალური მმართველი გია ბენაშვილი

შემსრულებელი:
ლ. თითმერია
ტელ: 237-52-65

039693

საქართველო,თბილისი, 0194
მიცკევიჩის ქ. № 18 ა
ტელ/ფაქსი: (+995 32) 37 64 93
ელ.ფოსტა: info@ktg-tbilisi.ge
ვებ გვერდი: http://www.ktg-tbilisi.ge/

Грузия,Тбилиси 0194
Ул. Мицкевича № 18 а
Тел/факс: (+995 32) 37 64 93
Эл.почта: info@ktg-tbilisi.ge
Веб-сайт: http://www.ktg-tbilisi.ge/

18 a, Mickevich Street
0194, Tbilisi, Georgia
Tel/fax: (+995 32) 37 64 93
E-mail: info@ktg-tbilisi.ge
Website: http://www.ktg-tbilisi.ge/

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

2819744
07/150691765-25
17.03.2015

შპს დავით გაგუას კლინიკა (201945271),
საქართველო, თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი,
ლუბლიანას ქ., №2/6

თქვენი 10.03.2015 წლის (#07/150691765-25) განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ 2014 წლის 30 აპრილის საქართველოს კანონის ,,ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ'' მე-2 თავის მე-6 მუხლის მე-6 ,,ა'' და ,,ბ'' პუნქტების შესაბამისად, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ჭრის ნებართვის გაცემა დასაშვებია: სათანადო წესით გაცემული მშენებლობის ნებართვის არსებობის შემთხვევაში, ან თუ არსებული მწვანე ნარგავები დაავადებულია, ხოლო ასეთი დაავადების არსებობა და მწვანე ნარგავების განკურნების შეუძლებლობა დადასტურებულია შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირის მიერ.

პატივისცემით,
თბილისის მუნიციპალიტეტის მერია / ქ. თბილისის
მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და
გამწვანების საქალაქო სამსახური
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
საქალაქო სამსახურის უფროსი

ბიძინა გიორგობიანი